

აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი (EEU)

სტრატეგიული განვითარების

გეგმა 2019-2025

ვისწრაფვით წარმატებისაკენ!



დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 20 მაისის № 31/01-08, ბრძანებით;
განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის №08 დადგენილებით

შესავალი

სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდგომში – **სტრატეგიული გეგმა**) წარმოადგენს უნივერსიტეტის გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს უნივერსიტეტის მიზნებისა და ხედვებიდან გამომდინარე მის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მას განიხილავს როგორც სამომავლო განვითარების მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტს, რათა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს სიახლისთვის მზაობა და ადეკვატურად უპასუხოს სწრაფად ცვალებად საერთაშორისო და ეროვნულ უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორს, ამ გზით გააგრძელოს სწრაფად განვითარების პროცესი და ჩამოყალიბდეს, როგორც ერთ-ერთი წარმატებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის როლისა და დანიშნულების გააზრებას, დამოუკიდებლობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლებისა და კვლევის განუყოფლობას. აღნიშნული ძირითადი პრინციპები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ზრდასა და სწრაფვას წარმატებისაკენ, ასევე, პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და დაინტერესებულ პირთა წინაშე.

უნივერსიტეტის შესახებ

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, როგორც კერო სამართლის იურიდიული პირი, დაფუძნდა ორგანიზაციის წარმატებული მართვისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, მოტივირებული და კომპეტენტური გუნდის მიერ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (მომავალში **EEU**) ერთ-ერთი ახალგაზრდა ინსტიტუციაა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელმაც საქმიანობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით **2013 წლის სექტემბრიდან** სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით დაიწყო.

EEU-მ საქმიანობის წარმატებული დასაწყისიდან ორ წელიწადში ხელახალი ავტორიზაციის გზით სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა და **2015 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს, როგორც სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი**. 2015 წლისთვის უნივერსიტეტში პროგრამული აკრედიტაციის გზით დანერგილი იყო უკვე 8 საგანმანათლებლო პროგრამა.

2020 წლის ბოლოსთვის უნივერსიტეტი არის **19 საგანმანათლებლო პროგრამით** წარმოდგენილი, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნების, თანამედროვე ტენდენციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით არის შექმნილი და ხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის მქონე, მოტივირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

EEU – მ არსებობის მოკლე ისტორიის მიუხედავად შეძლო მოეპოვებინა ნდობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ხარისხზე ორიენტირებული, თანამედროვე კორპორატიული სტილის მქონე ინსტიტუცია. უნივერსიტეტმა **სწრაფი და მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა** საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მიმართულებებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პროგრესი ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, პარტნიორობა დაამყარა 40-მდე საერთაშორისო უნივერსიტეტთან და ორგანიზაციასთან, მათ შორის ბრიტანეთის, აშშ, გერმანიის, უნივერსიტეტებთან, მოპოვებული აქვს ERASMUS+-ის 6 გრანტი, აშშ საელჩოს ოთხი და ბრიტანეთის საბჭოს ერთი გრანტი, განხორციელა 30-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდებთან, არის 10 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაცია (EPLO), მსოფლიო განათლების მომსახურების

ორგანიზაცია (WES, USA), დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამა (Vitae), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO);

ამ პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის შეთავაზებული გაცვლითი პროგრამების სიმრავლე უნივერსიტეტში არსებულ თითქმის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. დაინერგა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის აღსანიშნავია **დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის წარმატებით განხორციელება**, ასევე 2020 წელს შექმნილი ციფრული მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ახორციელებენ ქართველი და გერმანელი სპეციალისტები და სტუდენტებისთვის მოქმედებს გაცვლითი პროგრამა ფრესენიუსის უნივერსიტეტში (GER); ამჟამად, უნივერსიტეტში წარმოდგენილია ოთხი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლობს **250-მდე საერთაშორისო სტუდენტი** მსოფლიოს 10-მდე ქვეყნიდან. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობს 15-მდე საერთაშორისო პერსონალი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ EEU-ს ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ჩამოყალიბდა სტუდენტთა მხარდამჭერი პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებითა და წარმატებით დანერგილი სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებით. გარდა იმისა, რომ გაიზარდა ბიუჯეტი აღნიშნული მიმართულებით, თავის მხრივ თანამედროვე ელექტრონული პლატფორმების დანერგვამაც განაპირობა სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესება. უნივერსიტეტი არის Microsoft-ის ლიცენზირებული პარტნიორი და ამ ეტაპისთვის უნივერსიტეტში დანერგილია ექვსი ლიცენზირებული პლატფორმა, რითაც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების ეფექტიანი ადმინისტრირება (EEU-EL; ELMA; Microsoft Teams; OPAC; EEU-HR, FMG SOFT).

უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სოციალურ პოლიტიკას, მათ შორის, როგორც სოციალური აქტივობებისა და პროექტების განხორციელების კუთხით, ასევე კვლევების მიმართულებით. წლების განმავლობაში მუდმივად ხორციელდება აქტივობები ამ მიმართულებით და განსაკუთრებით აღსანიშნავია მასშტაბური სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც უნივერსიტეტმა 2020 წელს პანდემიის პერიოდში განახორციელა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან (EMIS) თანამშრომლობით, პროექტის ფარგლებში 1200-მდე აბიტურიენტის გადამზადება განხორციელდა ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდებისთვის ოთხ მისაღებ საგანში, მათ შორის 600-ზე მეტი აბიტურიენტი უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი ინტერნეტით. პროექტის ადმინისტრირება და სრული დაფინანსება უზრუნველყო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა.

მას შემდეგ, რაც EEU-მ მოიპოვა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების განხორციელების უფლება, მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა და გააქტიურა საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. მათ შორის, განვითარდა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერი მექანიზმები, კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისათვის ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტი 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2020 წლისთვის გაზრდილია 4-ჯერ, შეიქმნა 6 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი¹, უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის სტრატეგია, აქტიური თანამშრომლობა განხორციელდა საერთაშორისო სამეცნიერო უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან, გამოიცა არაერთი სახელმძღვანელო და ნაშრომი, შეიქმნა რეფერირებადა საუნივერსიტეტო ორენოვანი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი, 2015-2020 წლებში დაორგანიზებულია/განხორციელებულია 50-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია და ვორკშოპი, მათ შორის 15-მდე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა აქვს მიღებული 200-მდე სტუდენტს და 70-მდე აკადემიურ პერსონალს, გამოიცა საკონფერენციო კრებულები, დაფინანსდა პერსონალის ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი აქტივობები, მოპოვებული აქვს 6 საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტი, შიდა საგრანტო სამეცნიერო და სტუდენტური პროექტების ფარგლებში დაფინანსდა 8 პროექტი საერთო ბიუჯეტით 130 000 ლარი. რამდენიმე უნივერსიტეტთან ერთად EEU-მ განახორციელა შრომის ბაზრის მასშტაბური კვლევა საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, განხორციელდა არაერთი ერთობლივი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი, უნივერსიტეტი გაძლიერდა კვალიფიციური და გამოცდილი სამეცნიერო პერსონალით, სადოქტორო კვლევების მხარდაჭერის მიზნით მომზადდა სტრუქტურული ცვლილებების პროექტი სტრუქტურული ერთეულის „სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი“ შექმნის მიზნით, გადაიხედა და განახლდა განახლდა „პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი“ , შემუშავდა „კვლევითი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი“, შეიქმნა კვლევითი-სასწავლო ლაბორატორიები და სიმულაციური ცენტრი მედიცინის მიმართულებით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

უნივერსიტეტმა 2018 წელს შეიძინა უძრავი ქონება ახალი კამპუსისთვის და განახორციელა მასშტაბური ინვესტიციები. ახალი კამპუსი მოიცავს რამდენიმე შენობას: სასწავლო-ადმინისტრაციულს, კვლევითი ცენტრებისთვის/ლაბორატორიებისთვის, სპორტული და საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვის, კაფეტერია, სპორტული მოედანი; ასევე, რეკრეაციულ

¹ 1. ფსიქოლოგიისა და ნეირო მეცნიერებების კვლევითი ცენტრი; 2. მრავალფუნქციური სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; 3. ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი; 4. საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი; 6. არქიტექტურის კვლევითი-საპროექტო ბიურო; 6. მიგრაციისა და დიასპორის კვლევითი ცენტრი;

ზონებს, თანამედროვე ბიბლიოთეკას, საგამოცდო/OSCE ცენტრს. შენობის თანამედროვე აპარატურისა და ტექნიკის როგორცა: სმარტ-დაფები, ახალი მოდელის კომპიუტერები, თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისები, უსაფრთხოების სისტემები, ახალი სასწავლო ინვენტარი, სპეციალური ტექნიკა და აპარატურა კვლევითი ცენტრებისთვის და მედიცინის მიმართულების ლაბორატორიებისათვის: ინტერაქტიული ანატომიური მაგიდა, ლამინარები, ლაბორატორიული მოწყობილობები და ხელსაწყოები, ნეირო-მარკეტინგული და ფსიქოდიაგნოსტიკური აპარატურა, მრავალფუნქციური კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გარკვეული შეფერხებები გამოიწვია კამპუსის დასრულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ახალი კამპუსის გახსნა დაგეგმილია 2021 წლის მაისის თვეში.

EEU - ში წარმატებით არის დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა, რომელიც ეხმარება ინსტიტუციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებაში და განვითარებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების საპასუხოდ და მათი კმაყოფილების მისაღწევად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასებასა და განვითარებას ყველა მიმართულებით - საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლა-სწავლება, სერვისები, რესურსები, ინტერნაციონალიზაცია, კვლევა, მართვა, სერვისები, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი კონტრიბუცია, საგანმანათლებლო სფეროში პოზიციონირება. EEU-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის იმპლემენტაციისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტად და სისტემურად გამოყენების პროცესების ადმინისტრირება ხდება PDCA ციკლის გამოყენებით. EEU ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ერთობლივი და თანმიმდევრული გამოყენებით ისწრაფვის უზრუნველყოს მდგრადი წარმატების მიღწევა რთული, მომთხოვნი და მუდმივად ცვალებად გარემო პირობებში. ამ მიზნით უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება, მიღებული შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი საკითხების იდენტიფიცირება და მათი განვითარებისათვის შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება. საანგარიშო პერიოდში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის კვალდაკვალ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ძალისხმევას მიმართავს სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებისთვის, რომლის განვითარების საჭიროება მკაფიოდ გამოვლინდა პანდემიის პერიოდში. ამჟამად, EEU-ში უკვე შეიქმნა სწავლა-სწავლების განვითარების პოლიტიკა და მისი დანერგვა დაიწყება 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

EEU აცნობიერებს საკუთარ როლს, როგორც პასუხისმგებლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და არ იშურებს ძალისხმევას, რომ მისი საქმიანობა იყოს მუდმივად პროგრესზე და განვითარებაზე ორიენტირებული.

EEU ამავე დროს, განსაკუთრებით ამაყობს საკუთარი კურსდამთავრებულების მიღწევებით. მათი კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი მაღალი და ყოველწლიურად მზარდია.

EEU-სთვის დიდი პატივია, რომ პერსონალი საკუთარ საქმიანობას განიხილავს უნივერსიტეტთან გრძელვადიან პერსპექტივაში.

EEU-ს სტუდენტები გამოკითხვის შედეგებში აღნიშნავენ, რომ მათი მოლოდინები გამართლდა და სხვასაც ურჩევენ არჩევანი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტზე გააკეთონ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ისტორიას ქმნის კმაყოფილი სტუდენტი, კურსდამთავრებული, პერსონალი და პარტნიორი, რომელთა მოლოდინების გამართლებისთვის ჩვენ ვალდებულნი ვართ მუდმივად მივისწრაფოდეთ წარმატებისკენ!

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი



წინამდებარე სტრატეგიული გეგმის განახლება განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობითა და თანამონაწილეობით.

პირველი ეტაპი:

წინამდებარე სტრატეგიის შემუშავების მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა პირველ ეტაპზე განახორციელა მოსამზადებელი აქტივობები.

ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სიტემაში არსებული ტენდენციების შესახებ არსებული დოკუმენტები, რეკომენდაციები, ასევე საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა.

უნივერსიტეტში არსებული ვითარების ანალიზის, შემდგომი განვითარების საჭიროებების დადგენისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ზედა და საშუალო რგოლის წარმომადგენლებს, მათ შორის, ფაკულტეტის დეკანებს, პროგრამების ხელმძღვანელებს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს, შეისწავლა შესაბამისი სტანდარტები და რეკომენდაციები, არსებული გარემო და ტენდენციები, გააანალიზა საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების გეგმები და მოლოდინები მათთან ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით.

მეორე ეტაპი:

სამუშაო ჯგუფის მიერ პირველ ეტაპზე განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა უნივერსიტეტების განახლებული 2019-2025 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 2019-2021 წლების სამწლიანი გეგმის პროექტები.

მესამე ეტაპი:

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები განხილულ იქნა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან: უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და ა.შ. მიღებული უკუკითხვების შედეგების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა სტრატეგიის დოკუმენტების საბოლოო რედაქცია და დამტკიცდა. ამასთანავე, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რეგულარულად უნდა განხორციელდეს განსაზღვრული პრიორიტეტების, მიზნებისა და კონკრეტული აქტივობების გადახედვა; მოხდეს მათი საჭიროებისამებრ დაზუსტება პროცესების რეალური განვითარებისა და მიღწეული პროგრესის საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრისთვის თანაბრად სარგებლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

სტრატეგიული გეგმის გადახედვა

განხორცილებული გარე, შიდა შეფასებების და სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგების კვალდაკვალ 2020 წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელდა სტრატეგიული გეგმის გადახედვა იმ სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელმაც მოახდინა 2019-2025 წ.წ.-ის სტრატეგიული გეგმის ფორმირება.

პროცესის ფარგლებში განხილული იქნა 2019-2020-ში სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგები, აგრეთვე გარე შეფასებისას ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. რის შედეგაც სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა მისიის და ხედვის მცირედი კორექტირება/დაზუსტება, გადაიხედა უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები, დაზუსტდა SWOT ანალიზის შედეგები და სტრატეგიული გეგმის გარკვეული საკითხები, შესაბამისობაში მოვიდა რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბებულ უნივერსიტეტის ახალ სტრუქტურასთან, შესწორდა ტექნიკური უზუსტობები.

ამასთანავე, გადახედილი იქნა 2019-2021 წ.წ.-ის სამწლიანი სამოქმედო გეგმაც, კერძოდ, დაიხვეწა დოკუმენტის სტრუქტურა, რათა მკითხველისთვის დოკუმენტი ყოფილიყო უკეთ აღქმადი, ყოველი ამოცანისათვის დაზუსტდა ძირითადი განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, ჩართული მხარე და ინდიკატორები.

შემუშავებული ახალი რედაქციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები განხილულ იქნა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან და დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტის მისია

სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული გეგმით დასახული სამიზნე ნიშნულების მიღწევას და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ეფექტიან და გეგმარებაზე დამყარებულ სამუშაო სისტემის ჩამოყალიბებას.

▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხედვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და უმაღლესი განათლების სფეროში ლიდერი დაწესებულება საქართველოში. უზრუნველყოს კვლევითი პოტენციალის განვითარება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, განავითაროს სტუდენტებსა და პერსონალში დემოკრატიული პრინციპები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია

სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და მორალური განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.

საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.

▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები

უნივერსიტეტი, საკუთარი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და სტრატეგიული განვითარების პროცესს ახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

▼
▼
▼
ერთიანობა - ჩვენი სწრაფვა, ვიყოთ ისეთი უნივერსიტეტი, სადაც პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები საერთო ძალისხმევით ცდილობენ განახორციელონ უნივერსიტეტის ხედვითა და მისიით დასახული მიზნები.

▼
▼
▼
პატივისცემა - ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთის, ფართო საზოგადოებისა და ისეთი პრინციპების მიმართ, როგორცაა: თანასწორობა, ანგარიშვალდებულება, სამართლიანობა და ეთიკურობა. ამასთანავე, დაფასებული და აღიარებული იქნება საუნივერსიტეტო საზოგადოების ყოველი წევრის ღვაწლი, მათი პიროვნული და აკადემიური თავისუფლება.

▼
▼
▼
თანაგრძნობა - ჩვენი დამოკიდებულება, რომელიც ორიენტირებულია/მიმართულია სოციალური უსამართლობის, გულგრილობის აღმოფხვრისა და სამართლიანი საზოგადოების დამკვიდრებისკენ.

▼
▼
▼
მხარდაჭერა - ხელს ვუწყოთ როგორც ერთმანეთის, ასევე სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ ზრდას, საზოგადოების სოციალურ-კულტურულ განვითარებასა და ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრების პროცესს. ვახდენთ ინდივიდუალური ინტერესებისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას.

▼
▼
▼
კეთილსინდისიერება - ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოდგენს კეთილსინდისიერება აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში, რითაც უზრუნველვყოფთ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში პასუხისმგებლობის, ნდობის, სამართლიანობის და ღირსების შეგრძნებას.

▼
▼
▼
აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება - ერთგულნი ვართ აკადემიური და პიროვნული თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპებისადმი და ჩვენი ძალისხმევა მიმართულია, შევქმნათ ამ პრინციპების განხორციელებისთვის საჭირო გარემო და პირობები;

▼
▼
▼
თანამშრომლობა და კეთილგანწყობა - კეთილგანწყობაზე დამყარებული თანამშრომლობით ვცდილობთ როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, ასევე პარტნიორებთან ურთიერთობისას ეფექტიანი და ურთიერთსარგებლიანი შედეგების მიღწევას.



SWOT ანალიზი

სტრატეგიული განვითარების გეგმა, ისევე როგორც შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია ჩვენი წარსული და მიმდინარე საქმიანობის დეტალური და თვითკრიტიკული შეფასების საფუძველზე. ვითვალისწინებთ რა უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, ჩვენთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უნივერსიტეტში განვითარდეს პროცესების მართვისა და განხორციელების ისეთი სისტემა, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს ისეთი სიტემის ჩამოყალიბებას, რითაც შესაძლებელი იქნება უმაღლესი განათლების, კვლევისა და ბიზნესს შორის უწყვეტ კავშირს შექმნა - „ცოდნის სამკუთხედი“; რაც, ამავე დროს ევროკომისიის განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენს.

დასახული მიზნების მისაღწევად გარდა იმისა, რომ განვახორციელოთ დასაქმების ბაზრის მასშტაბური კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში და ამავე დროს, სისტემატურად ვახორციელოთ შიდა კვლევებსა და შეფასებებს საგანმანათლებლო, კვლევითი და მმართველობითი საქმიანობის მიმართულებებით, ვაწარმოეთ სიღრმისეული SWOT ანალიზი და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებით მივიღეთ გადაწყვეტილებები, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიანი დაგეგმარების პროცესებთან მიმართებაში. SWOT ანალიზის შედეგებით გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარეები განვიხილოთ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ზოგად ტენდენციებთან და საყოველთაო გამოწვევებთან მიმართებაში კონტექსტუალურად, რაც მნიშვნელოვანად დაგვეხმარა უნივერსიტეტის დასახული მიზნების მისაღწევად გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაგეგმარების პროცესებისა და ამოცანების რელევანტურად ჩამოყალიბებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია SWOT ანალიზის შედეგები, რომელიც საფუძველად დაედო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიულ დაგეგმარებას.

	კომპეტენციის განვითარება	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგზე ორიენტირებული განვითარება
ძლიერი მხარე	მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კვლევითი საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა;	აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის ეფექტიანი ბონუსური სისტემა ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების აღიარება მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები;	საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მზარდი მაჩვენებელი; სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მათი ჩართულობა;	სტუდენტზე ორიენტირებული პროგრამები და სერვისები; სწავლების გადახდის მოქნილი გრაფიკი; სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა; საერთაშორისო სტუდენტებისთვის პერსონალიზირებული სერვისების შეთავაზება; საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება.
სისუსტეები	საერთაშორისო აკადემიური პერსონალის სიმცირე; პროფესიული განვითარების პროგრამების არასაკმარისი ოდენობა.	ბაკალავრიატის საფეხურზე ქართველი სტუდენტების ნაკლებობა; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემის არასაკმარისი რაოდენობა მენეჯმენტისა და სერვისების განხორციელების პროცესში;	ადგილობრივი სამიზნე ბაზრის მოთხოვნების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია; საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების არასაკმარისი რაოდენობა; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაბალი ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ გაცვლით პროგრამებში.	შეუსაბამო კვლევითი ინფრასტრუქტურა რეკრეაციული ზონების სიმცირე; სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის არაკომფორტული გარემო; კვლევითი პოტენციალის არასათანადო განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებთან შესაბამისი განახლებულ სასწავლო-ლაბორატორიათა სიმცირე.

	კომპეტენციის განვითარება	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგზე ორიენტირებული განვითარება
შესაძლებლობები	<p>უნივერსიტეტი ს, როგორც კვლევაზე ორიენტირებული დაწესებულების, ცნობადობის გაზრდა;</p> <p>მაღალი პოტენციალის საერთაშორისო აკადემიური/კვლევითი პერსონალის მოზიდვა;</p> <p>აკადემიური პერსონალის მიერ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა;</p> <p>პერსონალის განვითარების სისტემის დანერგვა.</p>	<p>უნივერსიტეტის გარე შეფასების (ავტორიზაცია /აკრედიტაცია; საერთაშორისო ექსპერტები და სხვა). გამოყენება ორგანიზაციული განვითარებისათვის</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;</p> <p>კვლევითი საქმიანობის განვითარება და გაფართოება</p> <p>თანამედროვე სწავლების მეთოდების საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;</p> <p>თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა</p> <p>სტუდენტური კვლევითი პროექტებისა და აქტივობების განვითარება</p>	<p>საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა;</p> <p>ეფექტური კომუნიკაციის სისტემის დანერგვა</p> <p>კურსდამთავრებულებთან. ორმაგი/ერთობლივი/გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება</p>	<p>ახალი ბრენდის და კორპორაციის იდენტობის განვითარება;</p> <p>კვლევითი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება/განვითარება;</p> <p>ახალი, თანამედროვე კამპუსი;</p> <p>სასწავლო/კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვა;</p> <p>ფაკულტეტების ორგანიზაციული გაძლიერება.</p>

	კომპეტენციის განვითარება	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგზე ორიენტირებული განვითარება
საფრთხეები	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა	უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა შესაძლოა საკმარისად სწრაფად ვერ მოახდინონ ორგანიზაციულ ცვლილებებზე ადაპტირება;	სწრაფი ცვლილებები კანონმდებლობაში, ორგანიზაციული მართვისა და განათლების სტანდარტებში, მაღალი რისკის მქონე გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორები. მოთხოვნების გამკაცრება/გართულება საერთაშორისო სტუდენტებისთვის; ქვეყნისა და საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება;	არასათანადოდ გაწეული სამუშაოების შედეგად გამოწვეული რეპუტაციული რისკები ფინანსური რისკები

სტრატეგია 2019 – 2025 წწ

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მთავარ სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებასა და მდგრად განვითარებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა დაფუძნებულია ოთხ ძირითად მიზანზე:

- ✓ მივაღწიოთ ჩვენს ხედვას და მისიას;
- ✓ წვლილი შევიტანოთ ქართული უმაღლესი განათლების სისტემის მიზნების მიღწევაში;
- ✓ განვაავითაროთ საგანმანათლებლო და კვლევითი პოტენციალი, მოვახდინოთ ჩვენი ინტეგრირება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცესთან;
- ✓ ვიმოქმედოთ ჩვენი საერთო ღირებულებების საფუძველზე.

სტრატეგიული პრიორიტეტები

2019-2025 წწ-ის სტრატეგიული გეგმებით დასახული მიზნების განსახორციელებლად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 2019-2021 წწ-ში ორიენტირებული იქნება **5 სტრატეგიულ პრიორიტეტზე**. მათ შორის, ჩვენ განვსაზღვრეთ **3 ძირითადი პრიორიტეტი**, ხოლო მათი მიღწევის ხელის შეწყობის მიზნით განვსაზღვრეთ **2 გამჭოლი პრიორიტეტი**:



3 ძირითადი პრიორიტეტი:

- ▶ მიმზიდველობის გაზრდა;
- ▶ კვლევების განვითარება;
- ▶ ინტერნაციონალიზაცია;



2 გამჭოლი პრიორიტეტი:

- ▶ მენეჯმენტის გაძლიერება;
- ▶ ინფრასტრუქტურის განვითარება.

აღნიშნული ნაბიჯები დაფუძნებულია მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებზე, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თითოეული სტრატეგიული და გამჭოლი პრიორიტეტის ქვეშ.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ყოველწლიური შეფასება და განახლება ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პოლიტის პროცედურების მეშვეობით.

აღნიშნული ნაბიჯები დაფუძნებულია მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებზე, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თითოეული სტრატეგიული და გამჭოლი პრიორიტეტის ქვეშ.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ყოველწლიური შეფასება და განახლება ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკის პროცედურების მეშვეობით.

მხოლოდ ადეკვატური მენეჯმენტით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით არის შესაძლებელი დაწესებულების მიმზიდველობის გაზრდა, კვლევის გაფართოება და ინტერნაციონალიზაცია.

თითოეულ სტრატეგიულ პრიორიტეტში და გამჭოლ პრიორიტეტში, გამოვიყენებთ სხვადასხვა ნაბიჯებს, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრულია ჩვენს 3-წლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული ქმედებები შეესაბამება მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებს, რომელიც საფუძვლად უდევს თითოეულ სტრატეგიულ პრიორიტეტს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: მიმზიდველობის გაზრდა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი დაარსების დღიდან მუდმივად ვითარდება, რის შედეგაც უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე სთავაზობს სტუდენტების საჭიროებაზე მორგებულ ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებსა და ეფექტიან სერვისებს, ხოლო მაღალკვალიფიცირებული აკადემიური და დამხმარე პერსონალისთვის კი კომფორტული სამუშაო გარემოს. ამის გარდა უნივერსიტეტი აფართოებს პარტნიორულ ქსელებს, ანვითარებს კვლევით გარემოს და ჩართულია ინტერნაციონალიზაციის პროცესებში.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიზანია, რომ ეფექტიანი საქმიანობითა და სტრატეგიული გეგმის განხორციელების გზით, გავხდეთ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი. რისთვისაც საჭიროა, რომ ამჟამად არსებული და სამომავლო მიღწევები გარდაისახოს ორგანიზაციულ იმიჯში, რათა საზოგადოების თვალში დაიმკვიდროს საკუთარი სახელი, რომელიც ასოცირდება სტუდენტებისა და პერსონალის წარმატებასთან. აღნიშნული მიდგომა დაეხმარება უნივერსიტეტს, რათა დააჩქაროს შემდგომი განვითარება და გააძლიეროს მისი პოზიცია უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

აღნიშნული მიღწევები საკმარისად არ აისახება საზოგადოებაში მის იმიჯზე. რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტების რაოდენობაზე. ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში, ასევე ჩვენთვისაც, უფრო მეტი, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, მოტივირებული სტუდენტის მოზიდვა რჩება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად, განსაკუთრებით ბაკალავრიატის საფეხურზე.

შესაბამისად, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. მოვიზიდოთ მეტი მოტივირებული და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი;
2. შევქმნათ ბრენდის გაუმჯობესებული სახე და რეპუტაცია.

ჩვენი წარმატების საზომია:

- სტუდენტური კონტიგენტის მზარდი მაჩვენებელი;
- მუდმივად ზრდადი ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი;
- ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების ჩარიცხვის გაზრდილი მაჩვენებელი;
- წარმატებული სტუდენტების უპირატესი არჩევანი;
- გაუმჯობესებული იმიჯი;

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: კვლევების განვითარება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა, როგორც კვლევებზე ორიენტირებულმა უნივერსიტეტმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ამ მიმართულებით, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვამ. ახლა კი საჭიროა უნივერსიტეტში ძლიერი კვლევითი კულტურის დანერგვის მიზნით არსებულ მიღწევებზე დაყრდნობით და სტრატეგიული გეგმარების გამოყენებით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარება.

დასახული მიზნის მისაღწევად უპირველესად საჭიროა დადგინდეს, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ყოველი აკადემიური პერსონალის კვლევით პოტენციალი და პრიორიტეტები, უკვე რომელიც საფუძველზე შეიქმნება და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა საზოგადოების მიერ გაზიარებული იქნება, ნათელი, შედეგზე ორიენტირებულ კვლევით სტრატეგია.

უნივერსიტეტი აგრეთვე მიზნად ისახავს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურით, რომელიც ხელს შეუწყობს გამოყენებით კვლევების განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება და გავლენას მოახდენს საუნივერსიტეტო საზოგადოების სამეცნიერო სამუშაო ხარისხზე და ხელს შეუწყობს მათი ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებას.

უნივერსიტეტი ისწრაფვის განავითაროს კვლევისა და სწავლების განუყოფლობის აღქმა. რისთვისაც იგეგმება მრავალფეროვანი მხარდამჭერი საქმიანობების განხორციელება, ასევე სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მეტ ჩართულობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმში კვლევითი კომპონენტის ზრდა.

განსაკუთრებული ფოკუსირება მოხდება კვლევითი პროდუქტიულობისა და ხარისხის გაზრდის მიმართულებით, რათა უნივერსიტეტის ამბიცია, აღიარებულ იქნეს როგორც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი, დიდძალად დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა არის ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ადამიანური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსებით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. კვლევითი სტრატეგიის განვითარება და განხორციელება
2. ინფრასტრუქტურის განვითარება გამოყენებითი კვლევების მხარდასაჭერად;
3. კვლევითი კულტურის დანერგვა;
4. კვლევითი პროდუქტულობის ზრდა.

ჩვენი წარმატების საზომი იქნება:

- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის რაოდენობისა და აღჭურვის მაჩვენებელი;
- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის რაოდენობის მაჩვენებელი, რომლებშიც იქნა გაძლიერებული კვლევითი კომპონენტები;
- კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა,
- სამეცნიერო ჟურნალების მრავალფეროვნება
- კონფერენციებზე მონაწილეობის მაჩვენებელი;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ინსტიტუტების რაოდენობის მაჩვენებელი
- სამეცნიერო-კვლევითი ბიუჯეტის ზრდის ოდენობა

სტრატეგიული პრიორიტეტი 3. ინტერნაციონალიზაცია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მიზანდასახულად და ნაბიჯ-ნაბიჯ ისწრაფის ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისაკენ. ამავდროულად, ღია არის არა მხოლოდ ევროპისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

ჩვენი მიზანია, გავხდეთ მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი სასურველი უნივერსიტეტი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები მიიღებენ უმაღლესი ხარისხის ევროპულ განათლებას, ხოლო აკადემიური პერსონალი კი მოახდენს საკუთარი პოტენციალის რეალიზაციას. აღნიშნულის მიზნის მხარდასაჭერად, შემუშავდა და დაინერგა უცხოელი სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამები, მოიზიდა უცხოელი აკადემიური პერსონალი, დამყარდა სხვადასხვა საერთაშორისო

კავშირები და თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობები. თუმცა, ამჟამად მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლობის შედეგად წარმოქმნილი შესაძლებლობების ოპტიმალურად გამოყენება და შემდგომი განვითარება.

ინტერნაციონალიზაციის პროცესებს უნივერსიტეტი განიხილავს როგორც საუკეთესო შესაძლებლობას, რათა ქართველ სტუდენტებსაც შევთავაზოთ საერთაშორისო სწავლის გამოცდილება, ხოლო უნივერსიტეტის პერსონალმა კი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუმჯობესოს სწავლა-სწავლების, კვლევითი და მმართველობითი უნარები. განახორციელოს უცხოელ კოლეგებთან ერთად საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.

აგრეთვე, დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი ისწრაფვის გაზარდოს როგორც ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე არსებულ ქართულენოვან პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტები.

შესაბამისად, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება;
2. ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ადმინისტრირებაში;
3. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

ჩვენი წარმატების საზომი იქნება

- უცხოელი თანამშრომლობის რაოდენობა სწავლა/სწავლების მიმართულებით;
- უცხოელი თანამშრომლობის რაოდენობა კვლევების მიმართულებით;
- სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული უცხოელი პერსონალის რაოდენობა
- გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების რაოდენობა.
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და პერსონალის მაჩვენებელი;
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობა;
- უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებებისა და აქტივობების რაოდენობა;

გამჭოლი პრიორიტეტი 4. მმართველობის გაძლიერება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად შეძლებს, სტუდენტებისა და პერსონალის, შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოლოდინების გამართლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს კომპეტენტურ და შედეგზე ორიენტირებულ მენეჯმენტს.

ამ კუთხით, უნივერსიტეტი ისწრაფვის, რომ განავითაროს ეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურა და თანამშრომელთა კომპეტენციები. რისთვისაც ვიზიდავთ როგორც მაღალკვალიფიციურ კადრებს, ასევე ვახდენთ არსებული კადრების პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას.

პროცესების მართვის ეფექტიანი სისტემა შესაძლებელს გახდის ეტაპობრივად შეიქმნას და დაინერგოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების, კვლევისა და ბიზნესს შორის უწყვეტ კავშირს.

ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის განვითარება, რომელიც გავრცელდება ყველა სერვისისა და საქმიანობაზე. მხოლოდ ხარისხის განვითარებაზე მუდმივად ზრუნვით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მთავარი მიზანი გავხდეთ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი.

აღნიშნული გარემოებები მოითხოვს სტუდენტების, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების ადეკვატურ გააზრებას, მუდმივი დიალოგის წარმართვასა და გასაუმჯობესებელი საკითხების თანმიმდევრულ გამოვლენასა და მასზე სათანადო რეაგირებას.

აქედან გამომდინარე, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა, შენარჩუნება, განვითარება;
2. ხარისხის კულტურის განვითარება და დანერგვა
3. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება

ჩვენი წარმატების საზომი იქნება:

- პერსონალის რაოდენობა
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობები
- პერსონალის და სტუდენტის კმაყოფილება
- გარე შეფასების შედეგები (ავტორიზაცია/აკრედიტაცია, უცხოელი ექსპერტები და ა.შ)
- საუნივერსიტეტო სერვისებისა და მომხმარებელთა რაოდენობა

გამჭოლი პრიორიტეტი 5. ინფრასტრუქტურის განვითარება

დასახული მიზნების მისაღწევად და ზემოთხსენებული სამი სტრატეგიულ პრიორიტეტის უზრუნველყოფად კრიტიკულად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

მხოლოდ თანამედროვე და შესაბამის ლაბორატორიული და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ეფექტიანი და სწრაფ მიწოდებას.

ყოველივე ამის მისაღწევად მოვიაზრებთ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი კამპუსის მშენებლობასა და შესაბამისად აღჭურვას.

ასევე, ინფრასტრუქტურაში მუდმივი ინვესტიციით შევძლებთ განვავითაროთ სასწავლო, კვლევითი, სამუშაო და რეკრეაციულ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებას და ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას.

აქედან გამომდინარე, აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. სასწავლო და კვლევით გარემოს განვითარება

ჩვენი წარმატების საზომი იქნება:

- ინფრასტრუქტურაში მიმართული ბიუჯეტის ოდენობა;
- ახალი კამპუსის ინფრასტრუქტურა
- სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილება;
- სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის რაოდენობა.

სტრატეგიული გეგმის დაფინანსება

სტრატეგიული განვითარებისა გეგმებით დასახული სამუშაოების განსახორციელებლად უნივერსიტეტი 2019-2025 წ.წ-ში შესაბამის სტრატეგიული პრიორიტეტების დასაფინანსებლად გამოყოფს შემდეგ ფინანსურ რესურსებს.

სტრატეგიული პრიორიტეტები და სტრატეგიულ ინიციატივები	ბიუჯეტი
სტრატეგიული პრიორიტეტი: მიმზიდველობის გაზრდა	1,225,000 ლარი
სტრატეგიული პრიორიტეტი: კვლევების განვითარება	2,670,000 ლარი
სტრატეგიული პრიორიტეტი: ინტერნაციონალიზაცია	2,951,000 ლარი
გამჭოლი პრიორიტეტი: მმართველობის გაძლიერება	1,169,000 ლარი
გამჭოლი პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება	7,780,000 ლარი
სულ 2019-2025 წ.წ.-ში დაიხარჯება	14,795,000 ლარი



სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი

სტრატეგიული განვითარებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგი (შემდგომში – მონიტორინგი) წარმოადგენს პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანებისა ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობების, ასევე მონიტორინგის გეგმის პერიოდულ შეფასებას.

სტრატეგიული გეგმის დასახული მიზნების მიღწევის დადასტურებულად გამოიყენება საკვანძო ინდიკატორების სისტემა, რომლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სისტემატიური შეფასება და განხორციელებული სამუშაოთა მონიტორინგი.

სტრატეგიულ გეგმის საფუძველზე უნივერსიტეტი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც აღწერს 3 წლიან ჭრილში სტრატეგიული ინიციატივების და აქტივობების შესასრულებლად საჭიროა ამოცანებს

სტრატეგიული გეგმის გადახედვისა და სამოქმედო გეგმის ხელახალი გეგმარების პროცესი იგეგმება 2021 წლის. აგრეთვე, დასაშვებია როგორც სტრატეგიული გეგმის, ასევე სამოქმედო გეგმის გადახედვის პროცესის განხორციელება მაღალი რისკის შემცველი გარემოებების დადგომის შედეგად, როცა საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება რისკის წყაროზე.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის გეგმა (შემდგომში – მონიტორინგის გეგმა) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის სამიზნე მაჩვენებლებს, აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდებსა და გადამოწმების წყაროებს.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი ხორციელდება ყოველწლიურად უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების შესაბამისად.

სტრატეგიული გეგმის საკვანძო ინდიკატორები

	2019 წ.	2025 წ.
ჩართულ მხარეთა კმაყოფილება		
სტუდენტების კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი	91%	93%
აკადემიური პერსონალის კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი	93%	95%
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი	95%	95%
დამსაქმებლის კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი	75%	85%
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	18	25
▪ ბაკალავრიატი	7	10
▪ მაგისტრატურა	7	10
▪ ერთსაფეხურიანი	1	2
▪ დოქტორანტურა	2	3
▪ მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1	2
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამები	0	1
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები	0	1
აქტიური სტუდენტური კონტინგენტი		
აქტიური სტუდენტების რაოდენობა	716	2000
▪ ბაკალავრიატი	280	980
▪ მაგისტრატურა	177	490
▪ ერთსაფეხურიანი	223	400
▪ დოქტორანტურა	19	70
▪ მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	17	60
აქტიური სტატუსის მქონე უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	226	450
აკადემიური კონტინგენტი		
აკადემიური პერსონალის რაოდენობა	122	180
▪ მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	64	109
აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამებში	1/1	1.6/1.4
აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამებში	1/1	1.6/1.4
აკადემიური პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა	1/6	1/12
სამეცნიერო კვლევით საქმიანობა		

აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული ნაშრომების წლიური საშუალო მაჩვენებელი	405	737
აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ რეფერირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებელი	3761	4820
რესურსები		
უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტი	5,964,021.00	12,400,000.00
კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	336,000.00	684,000.00
სტუდენტური სერვისებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი	227,900.00	470,000.00
წიგნადი ფონდი	5,938.00	15,400.00
საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4,632.00	9,567.00
დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2,664.00	5,019.00
სტუდენტებისა და პერსონალური კომპიუტერების თანაფარდობა	1/8	1/6